საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

კვირა, 9 ნოემბერი 1919 წ. № 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ქვრივი ქსენია ნიკოლოზის ასული კორძაიასა შვილებით ძმა კოწია ელიზბარის ძე კორძაია, მეუღლით და შვილებით, აუწყებენ ნათესავთ. ნაცნობთ და მეგობრებს რომ, 40 დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 9 ნოემბერს დღით კვირას დილის ათ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე

გრიგოლ იგივე (კვანჭილია) ელიზბარის ძე კორძაიას

სულის მოსახსენებლად. 2—2

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ანნა ქაროსანიძისა ლომინაძის ასული. დედა ედუსი ქაროსანიძისა, მამა რომანოზ ქაროსანიძე და ძმა აკაკი ქაროსანიძე, აუწყებს ნათესავთ, და ნაცნობს ერთი წლის შესრულებას გადაცვალებიდან სტუდენტ მესამე კურსისა

მელქისადექ (კაკო) ქაროსანიძის.

წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია მთავარ ანგელოზის ეკლესიაში 9 გიორგობისთვეს დღით კვირას დილის ათ საათზე. 1—1

ქვრივი მარიამ (მაშო) იოსების ასული ასათიანისა და ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე მეუღლითურთ—ნინადორა გაიოზის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, უეცრად გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისა და მეორე სიძისა,

სამსონ მალხაზის ძე ასათიანისა,

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, ნოემბრის 9-ს, სოფელ დერჩში.

ალექსანდრე ივანეს ძე მოკრიაკოვი, ზაქარია (იგივე ქიჭიკო) ილია და დავითი გრიგორის ძე ვარდანაშვილები, ლიზა გრიგორის ასული მაღრაძე, ეკატერინე გრიგორის ასული ველიჩკო და თამარა გრიგორის ასული კალუგენინი, ანნა დიმიტრის ასული ვარდანაშვილისა და ნიკოლოზ როსტომის ძე მაღრაძე გაუწყებთ რა გადაცვალებას პირველის მეუღლესი, მეორეთა და მესამისა საყვარელის დის, მეოთხის მულის და მეხუთეში ცოლის დისა

მანია გრიგორის ასული მოკრიაკოვისა (ვარდანაშვილი)

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 9 ნოემბერს ახალი სტილით ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, გორაზე ქიჭიკო ვარდანაშვილის სახლებში. 1—2

ქალაქის თეატრი.

სამშაბათს, 11 ნოემბერს გაიმართება

დიდი სალიტერატურო

საღამო

შინაარსი:

I.

გრიგოლ ამილახვარი: წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება.**

II.

ვახტ. წერეთელი: წაიკითხავს: ვეფხის ტყაოსანის იდეა და ფორმა.

III.

ი. გრიშაშვილი.	სამსონ ყიფიანი.
ია ეკალაძე.	დია ჩიანელი.
ვალერიან გაფრინდაშვილი	შალვა კარმელი.
ალექ. გარსევანიშვილი.	რაჟდენ გვეტაძე.
დ. თომაშვილი.	ნიკ. ასათიანი.
თ. ხუსკივაძე.	

IV.

იუმორი.

ვას. ბალანჩივაძე.

ესტატე ჩიბურდანიძე.

ნემო — წაიკითხავს სცენებს ებრაულურ ცხოვრებიდან. (უფ.)

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რადგან პირველ ვაჟთა გიმნაზიასთან

არსებული მშობელთა წრის საბჭოს მიერ დანიშნული პირველი კრება 2 ნოემბერს დილის 11 საათზე ხსენებულ გიმნაზიის შენობაში არ შესდგა, მეორე კრება დანიშნულია თანახმად პირველი განცხადებისა 9 ნოემბერს დილის 11 საათზე მდგომარე წლისა, რომელიც ჩაითვლება კანონიერად მიუხედავად წევრთა რაოდენობის გამოცხადებისა.

გთხოვთ მშობლებს უთუოდ მობრძანდეთ დელეგატების კრებაზე. კრების განსახილველია: წლიური ანგარიშის დამტკიცება, გამგეობის წევრად არჩევა და სხვა საჭირო კითხვები. ცალკე ბარათები მშობელთა წრის საბჭოსაგან არ მოგივათ.

მშობელთა წრის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭილაძე.

გიმნაზიის დირექტორი ნ. მისაბიშვილი.

მდივანი ა. ჩხეიძე.

დღიური.

ვილსონი ფიქრობს რომ ხალხთა ლიგის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადოს.

სტრანბურგში კლემანსომ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა.

მოხალისეებმა აიღო სკოროსტოვკა.

პრიმიბთან მოხალისეთა ჯარმა წითელი არმია დაამარცხა.

მოხალისეთა ჯარმა ტობოლსკის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლით კორგაისკოე აიღო.

დღეს ვ. ბარნოვის იუბილეა.

ქართული კულტურა რომ თან მისდევს ევროპის კულტურას, ამას ქართული მეცნიერება დახელოვნება მოწმობენ.

დამოუკიდებლობის დასაწყისშივე მოვახერხეთ ქართული უნივერსიტეტის შექმნა, ჩანს, ქართველს მეცნიერება ისე უყვარდა, რომ მის სარბიელზე მუშაობისათვის თავს სხვერპლად სწირავდა და სამხრეთის ნაზ ჰაერს ჩრდილოეთის მკაცრსა და აუტანელ ჰაერში სცვლიდა.

აწინდელი ქართული მხატვრობა საშინელ პირობებში დაიბადა და განვითარდა.

იმავე პირობებში იყო და არის პოეზია და სიტყვაკაზმული ლიტერატურაც.

ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო თავისი სამწერლო მოღვაწეობა ბანკირის მოვალეობაში გაეცვალა.

დიდი აკაკი მოხუცებულობის დროს უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, იმისდამიუხედავად, რომ საზოგადოება უხვი ხელით ეწეოდა.

მთის არწივმა—ვაჟა ფშაველამ სიღარიბეში დალია სული.

ნუღა გავიხსენებთ ეგნატე ნინოშვილსა და სხ.

და ვასილ ბარნოვი ერთსადაიმავე დროს მასწავლებელიც არის და მწერალიც.

რა ძნელია ორისავე ამ მოვალეობის ასრულება.

ამისდა მიუხედავად ვ. ბარნოვი ყველა სხვა მწერალზე უფრო ნაყოფიერია.

ალბად მეტად მშვიდი, წონასწორი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ თუმცა უკვე სამოც წელს გადააბიჯა, მაგრამ ჩვეულებრივი ბეჯითობით განაგრძნობს მოღვაწეობას.

და საზოგადოებამ, რომ მისი ღვაწლი დააფასა, ეს სანუგეშო პერსპექტივის მომასწავებელია.

მისი: ნაწერები განბნეულია: ჟურნალ „მოამბეში“, „კვალში“, გაზ. „ამირანში“, „ცნობის ფურცელში“, „საქართველოში“ და სხვადასხვა კრებულში.

სამწუხაროდ ხსენებულ ნაწარმოებთა კრებული გამოცემული არ არის და მაშასადამე ძნელია მათი სისწორით დაფასება.

აღვნიშნავ მხოლოდ რამდენსამე ხაზს.

ლირიული განცდის გენიოსური განსახიერების მხრით ა. ყაზბეგს არა თუ ვ. ბარნოვი, არამედ თითქმის ვერც ერთი თანამედროე ქართველი მწერალი ვერ შეედრება.

თავისი მხრით ვ. ბარნოვი აღემატება ა. ყაზბეგს ადამიანის სულის მოძრაობის ობიექტივურის, ანალიტიკური დამფასებლობითა და გამოცნობით.

განვიხილოთ ამ მხრით, მაგალითად, ისტორიული მოთხრობა: „მიმქრალი შარავანდედი“.

აი მისი არაკი. მამია გურიელის ქალს თინათინს უყვარს კარისკაცი ნოშრევან, მაგრამ პატივმოყვარეობის გამო კახეთის მეფეს ლევანს მიჰყვება. ლევანს თავისი მხრით უყვარს ლეკის ქალი, მაგრამ ირთავს თინათინს პოლიტიკური მდგომარეობის ზეგავლენით.

ცოლქმარს ერთმანეთი ებრალება, ერთი მეორეს პატივსა სცემს, მაგრამ არცერთი თავს ბედნიერად არა გრძნობს, ვინაიდან თავისი სიყვარულის საგანთან კავშირი გაუწყვეტია.

ამიტომ თვითეულის იდუმალი სევდა ღრღნის, საკუთარი სულის, კვეთება აქვს, ერთის გული მეორეს გულს ვერ გადაბმია.

მეფე ამ მდგომარეობიდან გამოსავალს: ეძებს და ეს ძიება ღალატით თავდება.

დედოფალი კი თავის დიდების შარავანდედის-ჩაქრობას, იმედის გაცრუებას, ვერ ითმენს და მონოზნად აღიკვეცება.

მოთხრობაში ობიექტიური ფსიქოლოგიური ძიების სინათლით არის გაშუქებული თვითეულის მოქმედი გმირის შინაგანი სულიერი მოძრაობა, ბრძოლა გულის სიყვარულისა და პატივმოყვარეობის გრძნობათა შორის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი ხაზი.

ვ. ბარნოვი, როგორც ამ ქვეყნის შვილი, ისტორიულ ფარგალს ვერ გადასცდა და თავის დროის ცოდვას ვერ გაექცა.

მის სიყვარულში ლირწებასა და ავხორცობას მცირე ადგილი არ უჭირავს, მისი სიყვარული არ არის რუსთველისებური ზენაარი სიყვარული რომელიც, სრულიად განწმენდილია ხვევნა-კოცნა—მტყლაშა-მტლუშისაგან.

ფსიქოლოგიურ ანალიზშიაც არ არის უნაკლულობა.

ენაში მრავალი არა-ქართული „იზმებია“: მაგალითად, „სასტიკ გამომეტყველებას აძლევდა თვალებს“. ამგვარი არაქართული გამოთქმები—აურაცხელია.

მაგრამ მაღალი ღირსება ვ. ბარნოვის, როგორც მწერლის ფსიქოლოგის—უეჭველი და უცილობელია.

და ქართველმა ერმა ეს ღირსება უკვე შეიგნო და დააფასა.

ვასილ წერეთელი.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ვ. ბარნოვის იუბილე. დღეს დამსახურებული მწერლის ვ. ბარნოვის იუბილეს მართავენ თბილისში.

საფრანგეთის მისიის ჩამოსვლა. პარასკევს ქუთაისში ჩამოვიდა საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი 4 კაცი.

დიდი სალიტერატურო სალამო. სამშაბათს, 11 ნოემბერს ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო სალამო. შინაარსი: I განყოფილება: (უპარტიო) **გრიგოლ ამაღლობელი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება“.** II განყოფილება: **ვასილ წერეთელი** წაიკითხავს: **„ვეფხის ტყაოსნის იდეა და ფორმა“.** III განყოფილებაში თავიანთ ნაწერებს წაიკითხავენ: ი. გრიშაშვილი, ია ეკალაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, დ. თომაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე, სამსონ ყიფიანი, დია ჩიანელი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე და ნიკ. ასათიანი. IV განყოფილება—იუმორი: ვასილ ბალანჩივაძე, ელტატე ჩიბურდანიძე და ნემო.

ვაჭრების დაპატიმრება. რადგან ქალაქის საბჭოს სხდომაზე პარასკევს სალამოს ხალხი ბლომად დაესწრო, განსაკუთრებით ვაჭრები, და ისინი ტაშის ცემით საბჭოს სხდომას ხელს უშლიდენ, ამიტომ იმავე ღამეს დააპატიმრეს რამოდენიმე ვაჭარი, რომლებიც ისევ მალე გაანთავისუფლეს.

სხდომა. ხვალ ქალაქის საბჭოს სხდომის გაგრძელებაა საღ. 7 საათზე დანიშნული.

კრება. დღეს, დილის 10 ს. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში დანიშნულია ეროვნ.-დემ. პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის საფინანსო კომისიის კრება.

რეფერატები. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას რომ კავშირის საწყობში ცალი რეფერატი ეღირება 1 მ. და 80 კ.

ტყავის ქარხანა. სპირიდონ ტარიელის ძე მოწონელიძემ, დავით ხოხაძემ და მაქსიმე ზვიადაძემ სთხოვა ქალ. თვითმართველობას, რათა მან ნება დართოს მათ გახსნან ტყავის ქარხანა ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე.

შრომის კომისარი ამით აცხადებს საყურადღებოთ ყველა დაწესებულებისა და სამრეწველოებისა, რომ დაჩქარებით წარმოადგინონ სია მუშებისა და მოსამსახურეებისა დამოწმებული უფროსის ან გამგის მიერ ბ მიილონ საანკეტო ბარათები შრომის კომისარისაგან საჭირო ცნობების შესაკრებათ, რომ წესიერათ მოეწყოს სურსათის განაწილება ახლად დაარსებულ სახელმწ. ფონდიდან მუშებსა და მოსამსახ. პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ.

ნაკვთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუების ტყავი.

ძველად, სულ ძველად ტყავი არ მოიპოებოდა.

და მართალი რომ ვსთქვათ, არც ფართალი იყო.

ღმერთმა რომ ადამ და ევა გააჩინა,—ხალხს სულ იაფად უჯდებოდა ცხოვრება.

იოცხლეთ ფული მაშინ ბევრი იყო. გეგეჭკორის და ჟორდანიას ბოხების სიმრავლე მაშინდელ ფულთან მოჩვენება იყო.

ყველაფერი ფულით იყო ავსებული, მაგრამ ხალხი საყიდლათ ვერაფერს შოვობდა.

არ იყო ტყავი, რომ ფეხსაცმელები შეეკერათ, არ იყო ფართალი, რომ სიტიტვლე დაეფარათ.

იმ დროს მთელ დედა მიწაზე და ცაშიც მხოლოდ ერთი მანტია მოიპოებოდა.

და ამ მანტიით მხოლოდ ღმერთი სარგებლობდა.

როგორც ეხლა სასურსათო კომიტეტების ქონებას ვერ შეეხება არა სოციალ-დემოკრატი, ისე იმ დროს იმ ერთად-ერთ მანტიას, ვერვინ შეეხებოდა.

არავის ახსოვს ვისი მოქსოვილი იყო ის მანტია, ან ერთის მეტი რად არ მოქსოვა, მაგრამ საქმე კი ასე იყო.

სანამ ადამი და ევა რასაკვირელია ღვთის პროტექციით სამოთხეში იყვნენ მოთავსებულნი ვერ გრძნობდენ ვერც სიშიშვლეს

და არ სჭირდებოდათ არც ტყავი და არც ფართალი.

მაგრამ როცა იმათმა იგემეს ნაყოფი ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა, როცა ღმერთმა ისინი სამოთხიდან განდევნა,—იგრძნეს: სიტიტვლეც და სიცივეც.

ვერ იშოვეს ვერც ტყავი და ვერც ფართალი.

შეწუხდენ.

მაგრამ ტყავი კი არავისთვის გაუძვრიათ.

დაკრიფეს ლეღვის ფოთლები და სხეულის სასირცხვო ნაწილი ისე დაიფარეს.

ასე იყო ძველად:—

პირველ ყოფილი ადამიანების დროს.

მაშინ ცხოველების გატყავებასაც კი გაურბოდენ.

არ ვიცით რამდენათ მართალია ეს, მაგრამ ასე გადმოგვცემს ძველი ალთქმა.

მეოცე საუკუნე კი სულ სხვა სურათს წარმოადგენს.

მეოცე საუკუნე რევოლიუციის ხანისა.

რევოლიუციამდე თითქმის ყველა არა სოციალისტი იყო.

მაგრამ რევოლიუციამ წარმოშვა მარტის სოციალისტები, რომლებმაც ხელი ჩაიგდეს მართვა გამგეობა.

ეს მოხდა საქართველოში.

დღეს საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა:

სოციალისტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა სოციალისტები.

ანუ

პროლეტარები

და ბურჟუები.

არ ვიცი რიცხვით რომელი სძლევს, წონით რომელი უფრო მძიმეა ქონებით რომელი უფრო შემძლეა, მაგრამ ღრმა დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ ძველი პროლეტარები დღეს ბურჟუები არიან და ძველი ბურჟუები კიდევ პროლეტარები.

და მარტივათ რომ ვთქვათ: ქვეყანა უკუღმა ტრიალებს.

ვერც ჩვენი ცხოვრება მიდის წალმა.

ყველაფერი გამოილია.

დაცარიელდა ყველაფერი.

ყველაფერს ფასი დაეკარგა.

და სულ მალე სხეულის სასირცხო ნაწილი გამომზეურდება.

ფუტურისტებს შეიძლება ეს კიდეც გაეხარდესთ, მაგრამ სოციალისტებს ახალი საშუალება გამოუგონიათ:

ამბობენ:

ბურჟუებს სქელი ტყავი აქვსთ, გავატყავოთ და იმით შევიმოსოთო.

როგორ გამოდგება ბურჟუების ტყავი სხეულის დასაფარავად, ეს სპეციალისტის საქმეა, მაგრამ ეს პროექტი თუ განხორციელდა გასატყავებელთა რიცხვში სოციალისტი მეტი მოხვდება, ვინემ ყოფილი ბურჟუები.

მე არც სოციალისტი ვარ და არც ბურჟუა.

ამ პროექტით არც მე და არც ჩემი ოჯახი არ დაზარალდება.

და თუ ამგვარი გატყავებით გაქრება სოციალისტთა სასირცხვო ტკივილები, მე ამ პროექტს ხელს, ორივე ხელით მოვაწერ.

კაინი.

ხოტა რამ სახალხო სკოლების ფილიალის განყოფილებაზე.

6 ნოემბერს მოხდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა ფილიალის კრება რომლის დღიურ წესრიგში იყო ბ. წივწივაძის მოქმედების დაგმობა და სხვა საკითხები. დანარჩენი საკითხები კი **არ წარმოადგენდა** დიდი ინტერესებს. ფილიალის შემადგენლობას ვითომც და ვერ მოუთმენია წივწივაძის მიერ გადმოსროლილი უშვერი სიტყვები და ამის გამო დღეს უნდა მოეხდინათ ობსტრუქცია და წივწივაძის მოქმედება უნდა დაეგმოთ. კარგი და პატიოსანი. თუ ვინმე უდანაშაულოთ ცილს წამებს სპეტაკ ადამიანს, როგორიც არის ბ. ლ. ნაცვლიშვილი, (ჩემის აზრით) იმ შემთხვევაში ატეხილი დავა პოზიციას და ოპოზიციას შორის უნდა გარჩეულიყო იმ დღეს, როდესაც საქვეყნოდ გამოვიდა გასაყიდათ ბ. წივწივაძის წიგნაკი—და არა 6 ნოემბერს. ნუ თუ კავშირის კორპორაციას ქონდა ზნეობრივი, იურიდიული და სხვა უფლებები, რომ როდესაც კავშირის წევრი პრეზიდიუმის მიმართ აყენებს რაიმე ბრალდებებს თუ გინდ ის ტყვილიც იყოს გააჩეროს თავის ალაგას?

მე მგონია არა. იმიტომ, რომ პრეზიდიუმის გალანძღვა ნიშნავს მთელი კავშირის წევრების გალანძღვას და შეურაცყოფას, რომელიც გამოირკვა და გამოირკვევოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი კავშირის შემადგენლობა გადაიყენებდა პრეზიდიუმს, დანიშნავდა გამოძიებას და თუ ერთი ბრალდებთაგანი გამართლებოდა, იმ შემთხვევაში პოზიცია იყო მართალი და ოპოზიცია განდევნილი უნდა ყოფილიყო, როგორც პრეზიდიუმის, ისე კავშირის წევრობიდანაც. ასე, რომ ეს იურიდიული ელემენტარული მოთხოვნილება კავშირის კორპორაციის მიერ არ იყო შესრულებული, რაშიაც არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი გულის—წყრომა და კორპორაციის მხრივ საქმის მსვლელობას არ ცოდნა. როდესაც მე საქმის უკანონობაზე და საქმის არა კანონიერ მსვლელობაზე ვლაპარაკობ, ეს მტკიცდება მით, რომ დამნაშავენი აყენებენ ასეთ ფორმულას კრების წინაშე: „ვინაიდგან ბ. წივწივაძე არ დათანხმა წინანდელ დადგენილებას, ამისათვის წივწივაძე დათხოვნილ იქმნას და წევრობიდან განდევნილი იყოს“-ო. აი ის სიტყვები და ფორმულა, რომელიც წამოყენებული იყო კრების წინაშე თვით კავშირის პრეზიდიუმის მიერ იქ, სადაც თვით ოპოზიცია (გარეშე პირთათვის) არ უნდა დასწრებოდა კრებას. თუ არ ითაკილებს ბ. ბ. კავშირის კორპორაციის წევრები, ოპოზიცია სულ არ უნდა დაეშვათ არც ერთ კრებაზე, ვინაიდგან, შეიძლება რომელიმე მათგანს უჭირავს ისეთი თანამდებობა და ადგილი, რომ თავის დასწრებით უსათუოდ კრებას მისცემდა ერთგვარ კარნახს.

ბ. წივწივაძე აყენებს ბრალდებებს, ისინი ასამართლებენ თვით წივწივაძეს ეს არის ლოღიკა? სად არის კორპორაციის მე, რომელმაც შეურაცყოფილად უნდა იგრძნოს თავი ამ შემთხვევაში? არის ისეთი ფაქტი, რომელიც გაჩენებულია, სდუმს, ყველასათვის ცხადია, მაგრამ უხილავია. ეს არის კავშირის კოლლეგიის წევრთა რიცხვი. სულ კავშირში ყოფილა 85 წევრი. ამ საერთო რიცხვიდან კრებას ესწრება მხოლოდ და მხოლოდ 35—44 და მეტი არა, მაშასადამე ნახევარი, ხუთის გამოკლებით. (ოპოზიცია). იბადება კითხვა, რით აიხსნება ის მოვლენა, რომ კავშირის პრეზიდიუმი აირჩია 85 წევრმა, და ასეთ მწვავე კონფლიკტის წარმოშობის შემდეგ კი, პოზიციის გასამართლებას ესწრება 44 წევრი, რომელმაც ხუთ წევრს სრულებით არ ქონდა არავითარი უფლება, რომ კრებაზე მონაწილეობა მიეღო და 3-4 თავი შეიკავა: კრების საერთო რიცხვიდან?? 43 წევრის არ დასწრება კრებაზე, ლაპარაკობს სულ სხვას, რასაც მიხვდებიან თვით დანარჩენი კავშირის წევრები. ასეთ შემთხვევაში ობიექტივობას უნდა მიეცეს ფართო ასპარეზი თუ გვინდა რომ, საქმე გამორკვევლათ ჩაითვალოს და სამჯავრომ თავის მსჯავრი დასდოს რომელიმე მხარეს. ამისაი თვის, ხაზგასმით ვიტყოდი რომ, ამ კონფლიკტის გარჩევას მივანდობდი იმ კანონიერ სასამართლოს რომელიც სისრულეში მოიყვანდა თავის გადაწყვეტილება ფიზიკური დასჯითაც კი. ამ ფაქტს ოპოზიცია გვერდს უვლის, უკეთებს კომენტარიებს, და ცდილობს რომ, თვით გამართლებულათ გამოვიდეს და პოზიცია კი უდანაშაულოთ დასაჯოს. არა ბატონებო! ასეთი სასჯელი ვისაც არ უნდა ხვდეს, სავალდებულო არ იქნება, მიტომ რომ, პოზიციის წინაშე არ იქნება ისეთი ბრალდება წაყენებული, რომელიც მას დასჯის. თუ ასეთ შეცდომას ჩაიდენს რომელიმე დაწესებულება კანონიერი, ან რეოლიუციონური იმ შემთხვევაში ბ. წივწივაძეს **უფლება ეძლევა** ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივროს სასამართლოში და პასუხი მოსთხოვოს როგორც პირველს ისე მეორე ზემოთალნიშნულ ორგანოებს, კავშირსაც. აი, აქ ადგება ფარდას და არა სხვაგან.

პატივცემით ნიკ. ახვლედიანი.

დასასრული შემდეგ.

თეატრი და ხელოვნება

პირველ ხარისხოვანი მსახიობის სახელწოდებას საჯარო გამოცდების შემდეგ კუთვნილობს მსახიობი. მას ერთ-ერთ უმძიმეს როლში გამოიყვანებენ. ალ. იმედაშვილმა თბილისის სცენაზე კარგა ხანია გამოცდა ჩაბარა. ქუთაისის საზოგადოება მას არ დასწრებია მან მხოლოდ გაიგო. ალ. იმედაშვილმა ინება გამოცდა ხელმეორედ ქუთაისის სცენაზე ჩაებარებია, და ამიტომ ხუთშაბათს „ოტელოს“ როლში გამოვიდა. საზოგადოება ბლომად დაესწრო ამ გამოცდას; გამოცდა ბრწყინვალედ ჩატარდა. ალ. იმედაშვილის მსახიობური ნიჭის ღირსეულად დაფასებას ვერავინ ბედავს. აქა იქ ისმის ხმა „ეს მეორე მესხიშვილია“, „ეს შექსპირია, რომელმაც იცის თავის ნაწარმოებს ღირსეული გრძნობა ჩააქსოვოს“, „ეს მსახიობთა მსახიობია“. იმედაშვილმა აღტაცებაში მოიყვანა სა. მთელი. მისი მოქმედება ზეგამოჭრილი ოტელოს“ იყო—ის „ოტელო“, რომელიც შექსპირმა შექმნა, და რომელსაც ალ. იმედაშვილმა ჩვენს პატარა სცენაზე სული ჩაუდგა. მან ამ საღამოს მოაჯადოვა მთელი დამსწრე საზოგადოება, რომლის ხსოვნაში დიდხანს იარსებებს „ოტელო“—იმედაშვილი.

კარგები იყვნენ: დეზდემონას როლში მ. მდივანი და კასიოს როლში ა. მურუსიძე. არა უშავდა კორიშელს იაგოს როლში.

იაგო „ოტელოში“ ერთი უმთავრესი როლთაგანია, იგი პიესის ერთი უმთავრესი ღერძთაგანია, იაგო ჭქმნის „ოტელოში“ ჯოჯოხეთს და ჯოჯოხეთის შვილს უნდა გავდეს. და როცა ვამბობთ არა უშავდა კორიშელს თქო უნდა დაუმატოთ, რომ კორიშელი უფრო შექსპირის იაგომ გაუმჯობესა, ვიდრე კორიშელმა იაგო.

დიდძალი საზოგადოება შეუყვეტელი ტაშით დაიშალა.

ბაჭუა.

ქალაქის საგზო.

(7 ნოემბერი. სანიტარული გადასახადის გამო).

საღამოს 7 საათზედ და 45 წუთზე მ. სანებლიძე ხსნის საბჭოს სხდომას.)

ალ. ჯაფარიძე (აგრძელებს წინადღის მოხსენებას) თითეულ კუბოს მაღაზიას უნდა გადახდეს 500 თუმანი. სტოლიარს 100 თუმანი. კამფეთის 300 თუმანი, ხილის წყლით მოვაჭრეს 500 თუმანი. სახერხი ქარხნებს 600 თუმანი. მექანიკურს და ელექტრონების სადგურებს თითოს 500 თუმანი. ყასბებს მთელად 50000 მანეთი სულ არის 20 ყასაბი (ხმები მეტია).

ხმოსანი **ნაზაროვი**. გუშინ მეპურეებზე ვილაპარაკე, დღეს ორიოდე სიტყვას ყასბებზე მოგახსენებთ. ხორცი პირველი და აუცილებელი მოთხოვნილება არის ადამიანისთვის, და მათზე მოვაჭრეს რაც შეიძლება ცოტა უნდა გადავახდევინოთ. ეს ამდენი გადასახადი თქვენ ყასბებს შეაწერეთ, მაგრამ არც ერთი ყასაბი თავის ჯიბიდან იმას არ გადიხდის, ეს ხალხს დააწვება გადასახდელად, რადგან თქვენი დადგენილი ნიხრი მიდღემჩიც არ მოსულა სისრულეში.

ს. რობაქიძე (ქალაქის თავის მოადგილე სოც. დემ.) ჩვენგნით გამომუშავებული ნიხრი სრულიად უნაკლოდ სრულდება, არა პირველ საჭირო საგნებზე არამედ თითქმის ყოველ დარგში (**ნაზაროვი** ადგილიდან; არ სრულდება) ჩვენ გვგონია რომ უნაკლოდ სრულდება.

გავაშელი (სოც. ფედ.) შესაძლებელია ამ სანიტარულმა გადასახადმა ზოგიერთ სპეკულიანტს გაუღვიძოს მადა ის რასაც ისინი გადიხდიან ხალხს გადაახდევინონ, მაგრამ ჩვენ ამას უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ გვაქვს ძალა. რომ დამფუძნებელი კრების მიერ გამომუშავებული დეკრეტები და ქალაქის თვითმართველობის დადგენილებანი სისრულეში მოვიყვანოთ. (კრება იღებს რომ მეყასბეებს შეეწეროსთ 50000 მ.).

ალ. ჯაფარიძე (აგრძელებს) მეჩექმეებს თითოს 100 თუმანი. ხმოს. **პაპავას** შემოაქვს წინადადება რადგან მეჩექმეების შემოსავალი ძლიერ გადიდდა, ამიტომ გადასახადიც მეტი უნდა დავადვათ, სახელდობრ 120 თუმანი.

ხმოს. ჩიკვაიძე. წინააღმდეგია გადიდების რადგან მეჩექმეებს ნიხრი არ აქვსთ. ჩვენ რომ გადიდებულ გადასახადს დავადებთ ამას ჩვენ ზურგზედ აიღებენ, ფეხსაცმელი ეს უსაჭიროესი საგანია ადამიანისთვის, კალოში ადარსად იშოვება და ფეხსაცმელი მაინც უნდა ჩაიცვას ადამიანმა ისეთი რომ შიგ წყალი არ შედიოდეს, თორემ თუ გაცივდა სანიტარია იმას ვეღარას უშველის.

პაპავა იცავს თავის წინადადებას. და ამბობს რომ ჩვენ ზომებს მივიღებთ რომ სანიტარული გადასახადი არ იქნეს გადატანილი მკხოვრებლებზე.

ხმ. ჩიკვაიძე—მეყასბეები შორს არ მიდიან საქონლის საყიდლათ, თუმცა სოფლელები გეშმაკდენ და წყლით და მარილით გაბერილი სა-

ქონელი შემოყავთ, მაგრამ ყასპებიც არ მოტყუვდებიან და იციან სად ეძიონ ქონი, მაგრამ ერთი მითხარით რომელი დეკრეტი გვიშველის რომ მეჩექმემ ის ფეხსაცმელი რომელსაც გუშინ 1200 მანეთად ყიდდა ღღეს 2000 მ. დააფასოს.

ს. რობაქიძე ჩვენ არც ისე გვძინავს როგორც ბ. ჩიკვაიძეს გონია 120 თუმანი თუ შემოვიღეთ მეჩექმეებზე, მე მგონია ეს კანონიერი იქნება (მიღებულია რომ მეჩექმეებს გადახდეს 120 თუმანი.)

ალ. ჯაფარიძე—რეზინის ძირით მოვაჭრეს 500 მანეთი, ტყავით მოვაჭრეებზე სულ 200 თუმანი. ხმოსან **პაპავას** შემოაქვს წინადადება რომ ტყავით მოვაჭრეებზე ეს გადასახადი მეტის მეტათ ცოტაა. მათ თითოს უნდა დაედოს არა უმცირეს 25000 მანეთისა.

ხმ. ჩიკვაიძე. ბატონებო თქვენ გადასახადებს რაც მიღებული გქონდათ იმაზე ადიდებთ, მაგრამ ერთი მითხარით ადიდებთ თუ არა იმ საქმეს რომელიც უნდა გაკეთდეს?

(**პაპავა** ზედმეტ თანხას ჩვენ კარგ ადგილს უშონით)

გავაშელი—ბატონებო ჩვენ გვეკითხებიან ამოდენა გადასახადები ეს კონტრიბუცია არის თუ შტრაფიო? უნდა მოგახსენოთ რომ ეს არც ერთია და არც მეორე, გადასახადების გაწერის დროს უნდა დავიცვათ დემოკრატიის ინტერესები და უნდა მივიღოთ წესი შეძლებისდაგვარად, წარმოებისდაგვარად. ადამიანისთვის უმთავრესი სიცოცხლეა და რაც გინდ დიდი იყოს გადასახადი მას არავინ მოერიდება ოღონდ უზრუნველყოთ ადამიანის სიცოცხლე. წელს ზამთარში შეიძლება უარესი ჭირი მოგველის ვიდრე შარშან იყო, და თუ ჩვენ წინდაწინ არ მივიღეთ ზომები შეიძლება მერე ასეულმა მილიონებმაც ალარ გვიშველოს.

(შემოდიან საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები, ხმოსნები და დამსწრე საზოგადოება ტაშით ეგებებიან).

გავაშელი (აგრძელებს.) ყველაზე უძვირფასესია სიცოცხლე და ამის შესანარჩუნებლად ყველამ უნდა მოიტანოს თავისი ძალა სამსხვერპლოზე. ქალაქის გამგეობის მიერ დაწერილი ნორმა ეს მინიმუმია.

ხმოსანი ჩიკვაიძე. ჩვენ აქ შემოვსულვართ საქმის გასაკეთებლად ეს სანიტარიის მოგვარებაა. აქ გვეუბნებიან ჯინც შარშან გამოსცადა შავი ჭირი ის არაფერს არ დაზოგავს ოღონდ ეს ჭირი ავაცდინით წელსო.—ბატონებო მე თვით გამოვსცადე ეს შავი ჭირი და გადავრჩი, მაგრამ საჭმელი, რომ არ მქონებოდა მოკვდებოდი. თქვენ ამბობთ შეუძლია და გადავახდევინოთო, აქვს და უნდა წავართვათო, ეს შეიძლება—მაგრამ არ უნდა იყოს, ლენინი გამოვა და ზარბაზნებს მოგაღირებსთ, ძველი ჯანდრები ხიშტებით გადაგახდევინებსთ, შეიძლება მილიცია მიაყენოთ და მათრახებით გადაახდევინოთ, მაგრამ ეს ასე არ ვარგა, ბარემ გამოტყდით ბატონებო და აღიარეთ, რომ თქვენ ხართ ბოლშევიკები. (დამსწრე საზოგადოებაში ტაშის ცემაა.)

ტრ. ჯაფარიძე. გადასახადის გაწერის დროს შემდეგი მოტივებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. 1) გადასახადი უნდა შეიძლოს საზოგადოებამ 2) უნდა გადავახდევინოთ არა დასაგმობი საშუალებით 3) გადასახადი უნდა მოხმარდეს თვით ხალხს ასეთია უფლებრივი სახელმწიფოს დებულება, მაგრამ თუ თქვენგან წამოყენებულ პრინციპებს დავადექით ამ დებულებებს ისინი ყველას არღვევს. აქ სპეკულიანტის დასჯაზე იყო ლაპარაკი ჩემი ფრაქცია და მე უფრო სასტიკი ზომების მომხრე ვართ (მიმართვა სოც.-დემოკ.) ნანდვილ სპეკულიანტს მე თქვენზე ადრე ჩამოვახრჩობდი, მოგვეცით სპეკულიანტი და ჩვენ გვასამართლებთ მათ. გადასახადი შურისძიებისათვის უსამართლობა არის. თუ ხუთმა მეტყავემ ქუთაისი გატყავა ისინი პასუხისგებაში მიეცით.

(ფრანგების მისიის წარმომადგენელნი გადიან).

ხმოსანი კაპანაძე. ეს არარის არც კონტრობუცია და არც შტრაფი. დემოკრატიის უმრავლესობა დაეხმარება ქალაქის გამგეობას გაატაროს ეს გადასახადი ხალხში.

ტრ. ჯაფარიძე. ამბობს რომ შემოსავლის და კვალობას ხარჯთა მკრეფი ინსპეკტორი გამოიარკვევს. ქალაქის თავის მოადგილე ამბობს რომ ჩვენ არ ვსპობთ მეტყავეებსო, მაგრამ იმ გვარი ზომები არ უნდა იხმაროთ რომ მოისპონ.

ხმოსანი **კილასონია** ამბოფს როგაქიძემ არაერთხელ სქვა რომ ვაჭრები 25 ჯერ ტყავს გვაძრობენო. ეს რას ნიშნავს ხალხი იფიქრებს ის ჯობია 25 ჯერ ტყავი რომ გაგვაძრონ ერთხელ ჩვენ გავაძროთ ტყავიო, და ეს მიმართულია პოგრომისკენ.

(აქ ტყდება ხმაურობა სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები სკამებიდან დგებიან. კრება 10 წუთით წყდება. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოება კრებიდან დაითხოვა. ხალხი გადის.)

კრება იხსნება.

რობაქიძე მოითხოვს რომ თქვენ ნდობით აღჭურვილ ქალაქის თავის მოადგილეს ღღეს კილასონიამ შეურაცხყოფა მიაყენა. ან ის უნდა იქნეს განდევნილი ან და მე ვეღარ მნახავთ აქო

ეროვნულ დემ. შემოდის წინადადება რომ კილასონიაზე მსჯელობა შემდეგ კრებაზე ვიქონიოთ როცა ყველა დამშვიდებელი იქნება.

სოციალ დემოკრატები მოითხოვენ კილასონიას საქმე ეხლავე გადაწყდეს. (ხმის უმრავლესობით მიიღეს)

გავიდა რეზოლიუცია, რომლის ძალით კილასონია ხუთი სხდომიდან დათხოვნილი უნდა იქნას.

(ეროვნ-დემოკ. კენჭის ყრაში თავი შეიკავეს.)

შემდეგი სხდომა ორშაბათს იქნება.

ბაჭუა.

კორესპონდენცია.

თერჯოლის საზოგადოება. არა ერთხელ დამიწერია, რომ თერჯოლის საზოგადოება უყურადღებოთ არის მიტოვებული. გზები გაფუჭებულია, ავდრები, რომ დაიკავოს მერმეთ სიარული შეუძლებელია. მდინარეები საზოგადოებას ბევრი ეახლოვება. არც ერთი მდინარეზე (გარდა ყვირილის) ხიდი არ მოიპოვება. და განსაცდელშია ის, ვინც წყალდიდობის დროს წყლის გაღმა დარჩება. უნდა იცადოს მანამდი, სანამ წყალი არ დაიკლებს.

გადავხედოთ სკოლებსაც. სკოლები მართლაც ხომ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

არც ერთი შკოლა არ არის, რომ კარგ პირობებში იყოს. თითქმის ყველა სასწავლებლის შენობა წაქცევის პირასაა მიმდგარი, პარტები შესაკეთებელი, მინები დამსხვრეული.

ადმინისტრაცია განათლების საქმეს ხელს არ უწყობს, მაგალითად: ერთმა გამგემ სკოლის შესახებ კომისართან მოლაპარაკება გამართა. მის მაგიერ, რომ კომისარი დახმარებოდა, შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მე თქვენთვის არ მცალია, სამმართველო შენობიდან როგორც მოწფეებს ისე მასწავლებელს გავაძევებო.

აი შეგნებული კომისარი; რომელიც ხელს უწყობს სწავლა-აღზრდის საქმეს! იმ დროს როცა საზოგადოებას ნაკლები ჭირისუფალი ყავს, საჭირო იყო რაც შეიძლებოდა დაჩქარებულიყო სამაზრო ერობის მიერ თერჯოლის თემის მცირე საერობო ერთეულების ხმოსნების დამტკიცება, რომელთა სიაც თემის კომისიას სამი კვირაა წარუდგინა შორაპნის სამაზრო ერობას დასამტკიცებლად. არ ვიცი რატომ არ უჩქარის ერობა მათ დამტკიცებას. საქმე კი უყურადღებობასა გამო ფერხდება.

მოსავალი წელს ამ საზოგადოებაში ძალზე ნაკლები იყო. ღვინო ძლიერ ნაკლებათ მოვიდა. სიმინდი მესამედობასაც ვერ იზამს. წელს შიმშილობას ექმნება ადგილი. ბევრი ახლავე ძაძას (ცერცვალს) ფქვავს და ურევს ჭადის დაქფულში...

ვ. გუთნურისპირელი.

— —

ს. დერჩი. (ლეჩხუმის მაზრა) ამა წლის 2 ნოემბერს ს. დერჩში გაიმართა საღამო ამავე სოფლის ახლათ გახსნილ ოთხკლასიანი სასწავლებლის სასარგებლოდ საღამოსათვის მოწვეულ იყო ქუთაისის გვარდიის მუსიკა; მათ შესრულეს ნაწილი და კონ. კანდელაკი. მუსიკამ ხალხი ალტაცებაში შოიყვანა. ოლიბარაკეს ორთავემ რესპუბლიკის მდგომარეობაზე, იმედი მისცეს ხალხს მომავლის გაუმჯობესებისა, მიულოცეს აგრეთვე სასწავლებლის დაარსება. დამსწრე საზოგადოებამ ორთავე დააჯილდოვა ტაშის ცემით და მადლობა გამოუცხადა. შემდეგ წარმოდგენილ იქნა „სიყვარულის თილისმა“ ჯაჯუ ჯორჯიკიასი. ლევანის როლს ასრულებდა ვ. ასათიანი, ელეს—მ. ირემაძე-ჩხეიძისა. ადგილობრივი კოსტიუმები ამშვენებდა მათ და ითამაშეს კიდევ მშვენივრად. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მსურველთათვის ვახშამი, ამერიკული აუქციონი და დროგამოშვებით მუსიკა უკრავდა. დიდათ ასიამოვნა მემუსიკეებმა ხალხი, როგორც მუსიკით აგრეთვე სიმღერით და ცეკვით. დილამდე საზოგადოება არ დაშლილა. დიდი მადლობის ღირსნი არიან მუსიკის მომწვევი თედორე ასათიანი და მემუსიკონი. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ვინც დახმარება გაუწია საღამოს მომწყობსთ და სცენის მოყვარე ახალგაზრდები, რომელნიც შრომას სწევენ ყოველთვის ასეთ საქმეებში.

შანი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

იყიდება: 1) სასადილო სერვიზი ოორმეტი კაცისა,
2) ტანისამოსის შკაფი დიდი,
3) ლამპა ზალის,
მისამართი: მიხეილის ქუჩა, **შნეიდერის სახლი**, ზედა სართულში.
1—1.

დაკარგე სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების ბილეთი მიღებული ქუთაისის სამხედრო სამმართველოსაგან **1919** წელს ივანობისთვეში **პორფილე ანდრიას ძე ბებიაშვილი.** 1—1

იყიდება სარკის შკაფი, „კრაოტი“ შირმები, სტოლსაფრები, ხალიჩები, შავი დრაფის მატერია მამაკაცის პალტოსათვის, წიგნები, ბალიშები დივნისათვის, ვაზები, ჭურჭლეულობა, ბოთლები და სხვა წვრილი ნივთები. ნახვა შეიძლება დილის 10 საათიდან. თბილისის ქუჩა № 20 ბინა ექიმ მულინის.
1—1

ქალაქის გამგეობის დადგენილების თანასწორად ქალაქის სასურსათო განყოფილება

დაურიგებს შეშას დაწესებულებებს და მათ მოსამსახურეებს, როგორც განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფთ, ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა ქუთაისში მყოფ დაწესებულებებს ვისაც შეშა სჭირდება—სამი დღის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ წერილობითი ცნობები ვასათბობთ რაოდენობის შესახებ დაწესებულებაში და მოსამსახურეთა სია, შემოწმებული დაწესებულების პასუხის ეგებელ უფროსის მიერ.

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკოველოვის სახლი.